# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 203 კვირა, 13 სექტემბერი 1909 წ. № 203

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მოკლე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია შეასწორებს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მოიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან შუადღის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

### სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

---

ქვრივი ნატალია ანტონის ასული ურუშაძისა, შვილები: ვასო, სერგო, ალექსანდრე, ნინო, მარო, ვერა, ანეტა, ფატუშა და ელენე, სიძეები ა. რაუდენტვენსკი და ა. სპერანსკი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

### ლუკა ნიკოლოზის-ძის ურუშაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დანიშნულია 13 ენკენისთვისთვის ქ. ოზურგეთში, ნაშუადღევის 4 საათზე. (2—6.—2)

---

ღენერალი თავადი გიორგი სპირიდონის ძე და მეუღლე მისი მარიამ სოლომონის ასული ხიმშიაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ დედისა და დედამთილის

კნეინა ეკატერინე, დიმიტრი გაბაშვილის ასულის

### ხიმშიაშვილის გარდაცვალებას.

პანაშვიდები კვირას და ორშაბათს საღამოს 8 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან (ოლგას ქუჩა № 4). ენკენისთვის 15-ს დილის 9½ საათზე. იოანე ღვთის-მეტყველის ეკლესიაში. (1—453—1)

---

### ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 17 ენკენისთვეს, 1909 წ., № 2.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ, ბ-ნთ კ. მესხის და გ. გედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

### „ჭირვეული ცოლის მორჯულება“,

კომედია 4 მოქმედებად შექსპირისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს საღამოს, 26 სექტემბერს. მზადდება წარმოსადგენად; „ცხოვრების გარეშე“, პროტოპოპოვისა, «შემოსავლიანი ადგილი», ოსტროვსკისა და სხვ.

დაჟინებითა ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება ხრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(4—1) რეჟისორი შათირიშვილი. ადმინისტრატორი ხვირელი.

---

### საზაფხულო თეატრი და ბაღი

(თავად-აზნაურობისა)

სამშაბათს, 15 სექტემბერს, გაიმართება დიდი

### სეირნობა

და წარმოდგენა

საკონცერტო განყოფილებით

წარმოდგენილი იქნება:

I რუსულად „მე მოვკვდი“, ფარსი ერთ მოქმედ. მიკსნიცკისა.
II ქართულად „მუქთა-ხორა“, ვოდევილი ერთ მომქმდ. ვ. აბაშიძისა.
III სომხურად „უბედური დებიუტი“, კომედ. ერთ მოქ. თარგ. ალიხანიანისა.
V საკონცერტო განყოფილება. დაწვრილებით პროგრამებში.

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ბავშვებისათვის სეირნობა დაიწყება 2 საათზე და გასტანს 5 საათამდე. გაიმართება სხვა და სხვა საბავშვო სათამაშოები. 5 საათის შემდეგ ყველასათვის გაიმართება სხვა და სხვა გასართობი, მაგალ., „პტი-ჟმღ“, რულეტკა, ტუმბოჩკები, რგოლების ჩამოცმევა, ფოსტა, ყვავილები, კონფეტი და სხვ.

ბაღში იქნება: პროჟექტორი, დანიშნულია შეცილება (კონკურსი) სილამაზისა და ტანისამოსისა. გამარჯვებულნი მიიღებენ ოქროს „ჟეტონს“ წარწერით. დასასრულ, გაიმართება როტონდაში ცეკვა. დაუკრავს რუმინელთა ორკესტრი და საზანდარი. ბაღში შესვლა 20 კ. ვინც წარმოდგენის ბილეთს იყიდის, ბაღში უფასოდ შევა. დასაწყისი 8½ საათზე. (2—1)

---

### კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთი“-ს

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1909 წ. 28 ენკენისთვეს დანიშნულია მეორე საზოგადო კრება თელავში დილის 10 ს.

კრებამ უნდა განიხილოს:

წლიური ანგარიშები 1906-1907 და 1907-1908 წლებისა და ხარჯთ-აღრიცხვა;
მოხსენება საქმის აწინდელ მდგომარეობის შესახებ და ზომები საქმის გასაუმჯობესებლად;
საზოგადოების ახალ წევრების არჩევანი;
არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრებისა და გამგეობის სამის წევრისა და სხვა მორიგი საქმეები.
რადგან კრება მეორედ ინიშნება, ამიტომ იგი კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს (წესდების § 40). (3—6—1)

---

**ექიმი** მ. დ. გეთაძოვი, ქ. ქუთაისში. აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სნით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—კვ.—17)

**ექიმი** ჩარექოვი ქ. ქუთაისში. სპეციალისტი. იღებს განსაკუთრებით სიფილისით, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის მეზობლად იოსელიანის სახლში. (25—ფ.—8)

**ექიმი** კბილისა ს. ვაშაყმაძე. აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს ახალ ბინაზე დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—6.—6)

**ექიმი** ა. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—60)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე. იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

---

**ექიმი** გ. მაგაკიანი. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—27)

**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვის ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ხალ.—6)

**ექიმი** ლ. ნ. ოჰანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ხალ.—12)

**ექიმი** კბილისა ს. ა. ცეიტლინი. კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, N 3). შესავალი სემიონოვის ქ. (100—1010—14)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოროვის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—247)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში. 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—64)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 157,

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—5)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი. იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

---

### სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

- მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
- ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
- ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
- ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.
- მ. კიმონტი—ქირურგ, ავად. 11—12 ს.
- მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
- ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
- ა. კალმიკოვა-ვნუკოვა— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერიოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება მეხდეგა საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—6)

---

ახლად გახსნილი

ტფილისის

### კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- გ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- ნ. გ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- გ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—155)

---

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

- რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3— საათ.
- რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.
- თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.
- პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5
- იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.
- ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
- იაკ. ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.
- ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.
- ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.
- ნავიცკი—ქალ., ყოველ დღე 1—2 საათ.
- ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 11—12½ ს.
- არღუთინსკი—შინაგან ავად. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—91)

---

„ტფილისის სობრანიე“

კვირას, 13 სექტემბერს, „სობრანიეს“ საზაფხულო სადგომში გაიმართება

### საოჯახო საღამო

საღამოზე დაუკრავს საზანდარი.

სტუმრებს საზოგადო წესით შეუძლიანთ შესვლა. ბ-ნთ წევრთა რეკომენდაციით. (1—452—1)

---

გამოვიდა და იყიდება

### „ქება-ქებათა“

სოლომონისი, კიტა აბაშიძის წინასიტყვაობით და შენიშვნებით და

### „სულამიტ“,

ა. შანშიაშვილისა. გამოცემა კ. აბაშიძისა. წიგნი იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, ფასი ორი შაური. (10—2)

---

იყიდება ყველგან ახალი

### ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: „ადვოკატთან“, „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“ და „უბედური დღე“. წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან. ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ“ Гачечиладзе. (30—6.—14)

---

გამოვიდა

### დუტუ მეგრელის

ნაწერების პირველი წიგნი:

### ლექსები

წიგნი 262 გვერდია ჩვეულებრივ ფორმატისა.

ხელის მომწერნი მიიღებენ იმათგან, ვისთანაც ხელი მოაწერეს. ვინც პირდაპირ „დროების“ რედაქციას გამოუგზავნა ფული, წიგნი გაეგზავნება ფოსტით. ცალკე გასასყიდად წიგნი ღირს 70 კაპეიკი (წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20%). ვინც წიგნს დაიბარებს „დროების“ რედაქციიდან, გასაგზავნი არ გადახდება; იმას კი, ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 10 ცალისა და ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, თითო წიგნი დაეთმობა

სამ აბაზად

მოკლე დროში გამოვა მეორე წიგნიც: „მოთხრობები“. (10—უ. 8)

---

ნაფიცი ვექილი

### სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს). (25—6.—7)

---

### საბურთალოზე

ახალ ეკლესიის მახლობლად, დაიყო ნაჭრებად ოცი დესეტინა „საგაბაშვილო მამული“ და იყიდება. დილით 10—2 საათ,, საღამოთი 4—6 საათ. გასაგებად შეგიძლიანთ მიმართოთ, ოლგას ქუჩაზე № 6, საკუთარი სახლი გაბაშვილისა. (3—445—3)

---

### შპალიერი

ძმ.

### ტარნოპოლების

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

განყოფილება ტფილის.: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

ფასები საფაბრიკოა.

ტელეფონი N 355.

ნიმუშები უფასოდ. (25—6. 8)

---

ქ. ქუთაისში

### საყმაწვილო ბაღი

ქ-ნ მ. იოსელიანისა,

### გადავიდა

ტფილისის ქუჩაზე, კნ. ს. მიქელაძის სახლში. მეცადინეობა დაიწყო 1 ენკენისთვეს. იღებენ ყმაწვილებს ორივე სქესისა 4—7 წლამდი. (3—კვ.—3)


## დეპეშები

(პეტ. რს. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 სექტემბერი

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა შეიმუშავა და მალე დაეგზავნებათ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ცირკულიარი. ცირკულიარში ნათქვამია, კარგად მოექცით უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომებსო. ამასთან ცირკულიარში სწერია, უცხო სახელმწიფოები კარგის თვალით უყურებენ ოსმალეთის ახალ რეჟიმსო, რაიც ნამეტან ნათლად სჩანს რუსეთის ელჩის ცირკულიარში, რომლითაც მან კონსულებს მიმართაო.

**სალონიკი.** ლიადაში ალბანელებს და ჯავიდ-ფაშის ექსპედიციას შეტაკება მოუვიდათ. ჯავიდ-ფაშას ექსპედიციას მოუკლეს 6, დაუჭრეს 4 კაცი, ალბანელებმა დაჰკარგეს 100 კაცი, მათ შორის, მეამბოხეების ზოგიერთი მეთაურები. ალბანელების მოძრაობის ერთი მეთაურთაგანი მეგობრებით ნიჟნი დიბრში გაიქცა და აქ ჯავიდ-ფაშის რაზმს ჩაუსაფრდა. 5 სექტემბერს ჯავიდ-ფაშის რაზმს და ჩასაფრებულებს ხანგრძლივი შეტაკება მოუხდათ. ორთავე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდა. ჯავიდ-ფაშამ დაანგრია ალბანელთა მეთაურების ყველა სიმაგრეები.

### სპარსეთი

**თავრიზი.** ურმიის გუბერნატორი მიხტეშამულ-მულკი 50 ცხენოსანის თანხლებით სალმასის გზით ურმიაში წავიდა.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო კონგრესის წევრები ვინდზორის სასახლეში მიიწვიეს. კონგრესის წევრებმა დაათვალიერეს სასახლე.

**ლონდონი.** ხემტინიკორტში საუზმე გაუმართეს უცხოეთის პრესსის 500 წარმომადგენელს. საუზმეზე, სხვათა შორის, სიტყვა წარმოსთქვა ვულვერ ჰემპტონმა. ორა ჯორმა მთელი ქვეყნის პრესსის სადღეგრძელო დალია და სთქვა: ვეთანხმები გარეშე საქმეთა მინისტრის გრეის სიტყვებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ სადმე ერთა შორის უთანხმოება არსებობს, ან ასეთი უთანხმოება მოსალოდნელია, პრესსა შესძლებს ასეთი უთანხმოების მოსპობას დაშესუსტებასო. იმედი მაქვს, რომ ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო კონგრესები ხელს შეუწყობენ ერების მჭიდრო დაკავშირებასო. ვულვერჰემპტონს პასუხი გასცეს სხვა და სხვა სახელმწიფოების პრესსის წარმომადგენლებმა.

### გერცენშტეინის მოკვლის საქმე

**კიუვენეპე.** 10 სექტემბერს საღამოს სხდომაზე სასამართლომ გამოჰკითხა მოწმეებს ზორინს და ზაპოლსკის. ზორინის სიტყვით იუსკევიჩ-კრასკოვსკის მისთვის მიუნდვია გემთა ამშენებლის ნევის ქარხნის დირექტორის გიპიუსის მოკვლა. მაგრამ ზორინს არ აუსრულებია იუსკევიჩ-კორსაკვსკის მინდობილობა. იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ სთქვა, ვერ გამიგია რათ დასჭირდა ზორინს გიპიუსის მოკვლის საქმეო. ჟანდარმმა ზაპოლსკიმ სთქვა, გერცენშტეინის მოკვლის 12 დღის წინედ ჩემთან მოვიდა ხუთი კაცი, მათ შორის ლარიჩკინი, პოლოვნევი და კაზანცევი. მოსულებმა მითხრეს დამცველ პოლიციის აგენტები ვართო. პოლოვნევმა და კაზანცევმა დამცველ პოლიციის მოწმობებიც მაჩვენესო. იუსკევიჩ-კრასოვსკიმ განაცხადა, ტყუილია, პოლოვნევი დამცველ პოლიციის აგენტი არა ყოფილაო. ჩრდილოეთ სასტუმროს ოფიციანტმა გაიმეორა თავის წინანდელი ჩვენება, გერცენშტეინის ტერიოკში ჩამოსვლისათანავე, სასტუმროში რამდენიმე საეჭვო პირი დადგაო. მოწმე ბულაევმა შემდეგი განაცხადა: 1907 წელს, 4 აპრილს, ვებერის მამულში, ზორინმა ფული შემომაძლია, სასამართლოში სთქვი, ლარიჩკინმა და პოლოვნევმა გადმომცეს, გერცენშტეინი ჩვენ მოვკალითო. მე უარი უთხარი. შემდეგ 9 სექტემბერს ზორინმა საყვედური მითხრა, რატომ თანხმობას არ აცხადებო. ზორინთან ერთად ამ დროს რომანოვიც იყო. რომანოვი რევოლვერით მემუქრებოდა. ბულაევს პირისპირ წაუყენეს ზორინი და რომანოვი. ამ უკანასკნელებმა უარჰყვეს ბულაევის ნალაპარაკევი. მოწმე მოროზოვი ამტკიცებდა, პრუსაკოვს და სხვებს მიხაილოვის მოსყიდვა უნდოდათ, ამასვე სცდილობდა „რეჩი“-ს თანამშრომელი ხარიტონოვიო. პრუსაკოვი „კავშირიდან“ მიტომ დაითხოვეს, რომ პრუსაკოვი დუბროვინს თავხედურად ექცეოდა. როდესაც „კავშირიდან“ ლავროვი, ზორინი და რომანოვი დაითხოვეს, ისინი „კავშირს“ და კერძოდ იუსკევიჩ-კრასოვსკის ემუქრებოდნენ. მე ჩემის თვალით ვნახე, რომ 16 აპრილს ვებერი, ზორინი და რომანოვი ბულაევს გარს შემოხვეოდნენ და ეუბნებოდნენ „კავშირის“ წინააღმდეგ წასულიყო. ბულაევმა მათ უარი უთხრა, ჩემ სულს ვერ გავყიდიო. გერცენშტეინის ქვრივის ინტერესების დამცველის ზარუდნის შუამდგომლობით სასამართლომ ხელმეორედ გამოჰკითხა ბულაევს. ბულაევის და მოროზოვის ჩვენებები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ამის შემდეგ სასამართლომ განაგრძო მოროზოვის ჩვენების ჩა-

მორთმევა. მოროზოვის სიტყვით პრუსაკოვს წინეთ ძალიან სჯავრებია გერცენშტეინი. ისე სჯავრებია, რომ გერცენშტეინის საფლავისთვის შეურაცხყოფაც კი მიუყენებია. მოროზოვის უკანასკნელ ჩვენებისა გამო გერცენშტეინის ქვრივის დამცველ ზარუდინს და იუსკევიჩ-კრასკოვსკისას—ნიკიტინს ჩხუბი მოუვიდათ. ორივე ვექილებს ამის გამო წერილობითი განცხადებები შეაქვთ. მოწმე ნიკოლაევმა სთქვა, მოროზოვის სახლში მიხაილოვმა გვიამბო, პრუსაკოვი, კომისაროვი და ორიც სხვა უცნობი ფულს მაძლევდნენ პრუსაკოვის ჩვენება დაამოწმეო. სასამართლომ ამით გაათავა მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა. პროკურორმა ითხოვა დუბროვინის დაპატიმრება. პროკურორს მიემხრო ზარუდნი, მისი სიტყვით დუბროვინი იმალება და საჭიროა მისი დაპატიმრება. ნიკიტინმა ამაზე სთქვა, დუბროვინს რამდენიმე მილიონი რუსი ხალხი აბარია, მათი ნდობით არის აღჭურვილი და მას საბუთი არა აქვს დაიმალოსო. სასამართლომ დაადგინა, რადგანაც დუბროვინი სასამართლოში არ გამოცხადდა და ამასთან ერთად საჭიროა ფინურ ენაზე გადაითარგმნოს მოწმეების ჩვენება, ამიტომ ამ საქმის გარჩევა 9 ოქტომბრისთვის გადაიდოსო. დუბროვინის შესახებ სასამართლომ დაადგინა, რადგანაც ნათლად არა სჩანს, რომ დუბროვინი დამნაშავე იყოს გერცენშტეინის მკვლელობაში, ამიტომ არ მოვითხოვთ მის დაპატიმრებასო. სასამართლო ვიბორგის გუბერნატორთან იშუამდგომლებს, რომ დუბროვინი სასამართლოში მოიყვანონ.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ გაარჩია კრებულ „სოზნატელნაია როსსიას“ გამომცემლის ოპელოვიჩის საქმე. კრებულში დაბეჭდილი იყო ერთი წერილი, რომელშიაც სასამართლომ ხელმწიფე-იმპერატორის შეურაცხყოფა დაინახა. სასამართლომ ოპელოვიჩს გადაუწყვიტა $2\frac{1}{2}$ წლით ციხეში დაპატიმრება.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორებს და გრადონაჩ ლნიკებს წინადადება მისცა, ყურადღება მიაქციეთ ჯვრებით და ხატებით ვაჭრობის საქმეს, ხშირად ჯვრებით და ხატებით ებრაელები ვაჭრობენო.

**ბობრსკი.** სოფელ დუხოვოი დომში გადაიწვა 75 სახლი. მცხოვრებლები უსახლკაროდ დარჩნენ.

**პეტერბურგი.** სასამართლომ გაარჩია სოციალ-დემოკრატების ფინლიანდიის სამხედრო ორგანიზაციის საქმე სამართალში მიცემული იყო 3 კაცი. აქედან სასამართლომ გადაუწყვიტა: ერთს 8 წლით, 2 ხუთ-ხუთი წლით, 2 ოთხ-ოთხი წლით კატორგა, სამი გაამართლა.

**ხ ო ლ ე რ ა**

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 49, გარდაიცვალა 13, ავად არის 384 კაცი.

**ვიტებსკი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 17, გარდაიცვალა 11 კაცი.

**ვლადივოსტოკი.** დღე-ღამეში ავად გახდა 20, გარდაიცვალა 11 კაცი.

**კოსტრომა.** ქალაქსა და მის მაზრაში ავად გახდა 17, გარდაიცვალა 6 კაცი.

## ხალხი და ინტელიგენცია სწავლა-განათლების საქმეში

სწავლა-განათლების შემოქმედი სიძლიერე ჩვენმა ხალხმა ინსტიქტიურად იგრძნო. მეტად სუსტი და უმნიშვნელო ენერგია დაუხარჯავს ჩვენს ინტელიგენციას, რომ იმის მოქმედიანობას მიეწეროს ის ერთობრივი, მასსიური გატაცება, რომელსაც იჩენს ქართველი ხალხი სწავლისადმი. ამ მოვლენის გასაგებად აუცილებელია ჩავიხედოთ იმის ბუნების თავისებურობასა და იდუმალობაში.

იქ, სადაც „ცა ფირუზია“ და „ხმელეთ-ზურმუხტი“, სადაც ცოცხალი და მკვირცხლი მდინარენი „უფსკრულს ალმასებრ სცვივიან“, სადაც ამ მდინარეთ, მოლრიალეთ, კლდენი მაღალნი, ყინულიანნი „ბანს ეუბნებიან“, სადაც ბუნება მშვენიერებისა და ძლიერების ხელით უქმნელ ძეგლად ამოზიდულა, იქ, ამ ფერად გრძნების სამეფოში, ზდილა და ფურჩქვნილა ქართველი ხალხი. მის გონებასა და გულში აღსახულა ამ ჯადო ბუნების ყოფილი თვისება. ამ უცხო ბუნების ზედ-მოქმედებაში შლილა მისი შემოქმედება, აქ გამოჭედილა მისი გონების სიმკვირცხლე. აქ ნაზებულა მისი გრძნობა, აქ ფოლადებულა მისი ვაჟკაცობა! წინსვლას, მუდამ წინ-სვლასა მას ჩასძახის ირგვლივ ბუნება.

ამ კეთილ ზედ-მოქმედების შედეგი იყო ის რაინდობა და ვაჟკაცობა, რომელიც მას ისტორიაში ჩაუდენია. ამავ ზედ-მოქმედების შედეგი იყო ის შემოქმედება, რომელსაც იჩენდა ქართველი ხალხი, როდესაც, ბრძოლისაგან შესვენებული, ხმლით დაცულ თავისუფლების დროს, მშვიდობიან ცხოვრებას ეძლეოდა. რა ცოცხლადაა აღსახული ყოველივე ეს ქართვლის შუბლზე, რა პირმტკიცე მოწმეა ყველა ამისი ისტორია საქართველოსი მეცხრამეტე საუკუნემდე!

ამავე კეთილ ზედ-მოქმედების შედეგია ქართველი ხალხის ის ღრმა პოტენციალური ძალა, რომელსაც იგი დღითი დღე იჩენს და რომელიც ურყევი ყვავუთხედია ჩვენის ეროვნულის სიმტკიცისა. შევეხოთ ერთ მხარეს—სწავლა-განათლებას. წარმოიდგინეთ ის პატარა, ღარიბად ჩაცმული ქართველები, რომელნიც ათასობით აწყდებიან სკოლის კარებს. წარმოიდგინეთ ის ღარიბი მშობლები, რომელნიც თითონ მშიერ-მწყურვალენი და ჩამოხეულნი რამდენიმე ვერსის სიშორეზე ეზიდებიან ფქვილსა და ყველს, რომ თავიანთ პაწია შვილებს, სკოლაში მოსიარულეთ, სარჩო მიაწოდონ. წარმოიდგინეთ ის ხალისი, რომელსაც ეს ღატაკი ხალხი იჩენს სკოლების დაარსებისა და შენახვის საქმეში. მითხარით, განა ასეთი ხალხი გამქრიახი, მკვირცხლი და გონება მჭრელი არ არის? განა მას შორსმხედველობა აკლია, განა ეს საუკეთესო თავმდები არ არის ჩვენის ეროვნულ სიმტკიცის აწმყოსა და მომავალში?! მაგრამ ზოგიერთი ურწმუნო თომა გულ-ამოსკვნით გაიძახის ჩვენი ხალხის გადაშენებაზე. გადაშენება, ბატონებო, აქ კი არ არის, ხალხში, რომელიც ლომივით სდგას, ფაფარ-აყრილი, არამედ სულ სხვაგან, იქ, ინტელიგენციაში, რომელსაც მოალერსე ხიავი აქეთ-იქით არხევს. ეს ჭეშმარიტებაა და ამიტომ დასაბუთება მეტია. მაგრამ ჩვენი ხალხი ამით გულს არ იტეხს: „მართალია, ბევრი ნაამაგი დაგვეღუპა, ჩვენი ნასწავლი შვილები ცოცხლად დაგვეხოცა, ინტელიგენციამ გვიმტყუნა, მაგრამ „რა მისჭირდეს; მაშინ უნდა გონებანი გონიერსაო“, ამბობს იგი საბუთიანად. ის ისევ სწავლა-განათლებაში ხედავს ხსნას და ბეჯითად მიაპობს ათას დაბრკოლებას. იმედი აქვს, რომ ერთ დღეს მაინც მოესწრება ნამდვილ ინტელიგენციას, რომელიც მშობელი ერის ჭირ-ვარამს გამოეპასუხება.

წელიწადი ისე არ გაივლის, რომ სადმე ან გიმნაზია ან რეალური სასწავლებელი არ გახსნან, ან საქალებო ან სავაჟო. ეხლა ოზურგეთსა და თელავში აპირებენ საშუალო სასწავლებლის დაარსებას. შარშან ბარე სამ ადგილას გახსნეს ასეთი სასწავლებელი.

ხალხი სწავლას, როგორც ასეთს, დიდად საჭიროდა სცნობს, უკრიტიკოდ იღებს მას, იგი ვერ შედის საკითხის გარჩევაში: თუ როგორ მოაწყოს, რა შეძლიოს ან რა განდევნოს სასწავლო საგნებიდან. იგი სწავლას, როგორც ასეთს, უზომოდ ეწაფება და ამ კეთილ განზრახვით გატაცებული, დაულეველ სიმტკიცესა და ღრმა ნდობას იჩენს. ჩაიხედეთ, რა ძლიერია და ღრმა ეს მიმდინარეობა! რა ენერგიაა აზღვავებული. მაგრამ... მარტო ენერგიის აზღვავება ხომ ყველაფერი არ არის, მისი რაციონალური გამოყენებაა თავი და თავი. ხალხი ყველა საჭირო მასალას იძლევა: თავის კეთილ გულს, ენერგიასა და ნდობას. აქ თავდება მისი სამოქმედო ასპარეზი და ამ მოვალეობის ასრულებაში ხალხი პირნათელია, პირმტკიცე. ამას ვერავინ ვერ უარჰყოფს. ხოლო კალატოზობას, ხუროთ-მოძღვრებას წმიდა ტაძრის ასაგებად, რომელსაც ასე ელერსება, იგი ანდობს თავის ნასწავლ შვილებს, თავის ინტელიგენციას იმ რწმენით, რომ ეს უკანასკნელი წმინდად და საპოვნებით შეასრულებს მშობლის დანაკისრებ მოვალეობას.

აქ იწყება სამოქმედო ასპარეზი ინტელიგენციისა, პრესსას ფრთა ეშლება, განუსაზღვრელი სარბიელი აქვს გულწრფელ მუშაკს. აქ პუბლიცისტის მადლიან კალამს ნება ეძლევა ჩვენი ცხოვრების ნიჭიერი ანალიზი მოხაზოს, პედაგოგს — ამ ანალიზიდან გამომყურე საჭიროებას შეუქსოვოს ახალი ტიპის სკოლა და სასტიკი ულმობელი კრიტიკა დაამხოს „პატენტიან“ სკოლას, როგორც უვარგისს-ჩვენი ცხოვრების კულტურულ და ეკონომიურ მოთხოვნილებასთან შეუფერებელს, როგორც დამღუპველს ჩვენის ეროვნულ კეთილდღეობისას! აქ საზოგადოების მთელმა შეგნებულმა ნაწილმა უნდა გაწიოს აქტიური გულ-ბეჯითი კომპანია არსებულ სწავლის სისტემის დასამხობად იმ სკოლებში მაინც, **რომელნიც ჩვენის ხალხის ჯიბით, მისი ფულით ინახება, მისი ინიციატივით დაარსებულა.** აქ შემოქმედების ნაკადული უნდა აჩუხჩუხებულიყო, მაგრამ ვაი რომ ამას ვერა ვხედავთ: პრესსა ხმას არ იღებს, პატიოსანი გულწრფელი მუშაკი არა ყვირის, პუბლიცისტი დადუმებულა, შემოქმედება არა სჩანს, ინტელიგენცია გალეშებულა. ხოლო ყველაზე უფრო ბოროტმოქმედებენ პედაგოგები.

ხალხის ენერგიით აგებულ და შენახულ სკოლებში, ხალხის ტაძრებში სხვისი ხატები შემოაქვთ. საზიზღარი მკვლელობანი ჩაიდინეს: „ქართულ“ გიმნაზიის თავები მოჰკვეთეს შოვინისათვის მხოლოდ „პატენტისა“. უნდა გენახათ, რა წრიალი ჰქონდათ, ვიდრე ამ „პატენტს“ გამოსთხოვდნენ, ხოლო მისი გამოთხოვა კი მოასწავებდა ყოველივე ახალისა და ცოცხალის დახშობას, ყოველივე შემოქმედების და კერძო ინიციატივის განდევნას სკოლის კედლებიდან. ეს **ფაქტი** მეევრმეტყველი მაგალითია **ჩვენის პედაგოგების მორალურ და გონებრივ უძლურებისა.** ეს მაგალითი ცხადჰყოფს რომ ჩვენს პედაგოგებს უნარი და შემოქმედება აკლიათ; მათ ვერ იტვირთეს პასუხისმგებლობა და თავი შეაფარეს ბიუროკრატიულ რეჟიმში გამოჭედილ უსულ-გულო პროგრამას.

თუ ესენი მასწავლებელნი არიან, მართლაც ღირსი აქ სიტყვისა, რად სდუმან, რად არა ყვირიან, რომ ხალხის რეალურ ინტერესების შეწირვა „პატენტისთვის“, დიპლომისთვის, დანაშაულობაა, რომ უგუნურობაა, ჩვენმა ხალხმა თავის ჯიბით ინახოს, თავის ინიციატივით ხსნას ისეთი სკოლები, რომელნიც არ ემსახურებიან იმის ნამდვილ მოთხოვნილებებს. მაჩვენეთ, სად არის აზრიანი სისტემატიური მოქმედება ამ ნიადაგზე; სად არის წერილობით თუ სიტყვიერი პროპაგანდა? სად არის ის აზროვნული მიმდინარეობა, რომლის შექმნაც აუცილებელია, თუ გინდათ საზოგადოებრივი აზრი დაარწმუნოთ არსებულ სკოლების უვარგისობაში (მხედველობაში მაქვს ის სკოლები, რომლებიც ჩვენის ინიციატივით იხსნება და ჩვენის ჯიბით ინახება და სადაც, მაშასადამე, თვითმოქმედება შეგვიძლიან გამოვიჩინოთ) და მისი სიმპატია მოიზიდოთ ახალ ტაძრის ასაგებად.

მიძინებულ სინიდისის მხილება ნეტავ როდის-ღა დაიწყება! როდის იქნება ჩვენი ინტელიგენცია ისეთივე პირნათელი სწავლის საკითხის წინაშე, როგორიც ჩვენი ხალხია?

**გესლი.**

## სახალხო ლექსი

ჩაწერილი სოფ. ერთაწმინდაში სოფიო სალხინაშვილისაგან.

ხარატაული გუბეო.

ჩემ სიტყვას ყური უგდეო:
შენს ნაპირს ბევრი ვიტირე,
ცრემლით ვავსელე უბეო.

—

მიყძარ-მოყძარი დუნია,
ბევრი რამ ვნახე ბრუნდეო,
წაღმა-უკუღმა წანწალმა
დამღალა, გზა ვამრუდეო.

—

დავაგდე გაღმით ხმელეთი,—
ძმათ არვის აღარ უნდეო;
გულის ფიცარზე დავწერე
სიტყვა ძმური და მრუდეო.

—

მოგივალ, მოგისამძიმრებ,
ერთიც არა ცსთქვა მრუდეო!
დაჭრილ-დაკაფულს გულითა
მომეცი მენაც ზღუდეო.

—

რა ირგოს კაცმა სიავით,
სიტყვა მოჩმახოს მრუდეო;
ლოროზი გული გონს გაჰყრის,
შმაგათ დაავდოს, უნდეო!

—

დედისა ძუძუ ნაწოვნი
შხამათ შეექსვის სულზეო,
სიათას რომ ვერ გაუძლებს.
ბოლომდინ გაჰყრის რჯულზეო.

—

დამიგდე ყური: დავაგდე
სიტყვა და გზანი მრუდეო,
სალამს მოგიძღვნი მეურულსა,—
გულით ნაწურს შეუნდეო.

რატარა გული, ნაწრუპა
სალი კლდე შეუწირია;
ბრბივით შერისა-დუშმანის
შეხვედრა მოუწონია.

—

იქ დამარხულა, სადაცა
მაჟარსა დაუწონია,
მაღლა მთის ნისლსა ნაჟური
ცრემლათ ზედ დაუფონია.

—

თავ-შეუდებარ ყრმასა მას
საფლავი აქ უპოვნია,
ცრემლით ნაჟაჯსა დედის კვალს
წამალი ვერ უშოვნია.

—

შენც სიტყვას რამეს მეტყოდი,
შვილისგან შემონათვალსა,—
მოასვენებდეს წამება
ამ ტალღილ-დაჭანცულ თვალსა.

—

სოფ. ერთაწმინდის მიდამოებში ცნობილია ეგრეთ წოდებული „ხარატული გუბე“. სოფლის დასავლეთ მხარეს, ვარდის ქედსა, არყის ხევისა და სქრისის ქედებს შუა მდებარეობს უზარმაზარი ღელე; ეს ადგილი, მცენარით შემკული, თვალ წარმტაც სანახავს წარმოადგენს,—მეტადრე ზაფხულობით. ზემოხსენებულ ერთ-ერთ ქედიდან რომ დახედოთ ამ არეს, მაშინვე თავში გაგიელვებთ, რომ აქ უწინ რამე ტბა უნდა ყოფილიყო; აი, ამ ღელეს შუა მდებარეობს პატარა ველი, რომელზედაც პატარა რამ გუბეს ნახავთ. წყალი ამ გუბეში ზაფხულობით თითქმის შრება, მაგრამ ტალახი-კი მუდამ გამოუშრობელია. და აი ამ გუბეს მიდამოთ სოფლები უწოდებენ „ხარატულ გუბეს“. ამ გუბეზე შემდეგი თქმულება ხალხში გავრცელებულა:

ყოფილა ვინმე გლეხი ხარატი, ბედნიერი და მადლიერი ბედისა; გაუგზავნია მამას თავისი ორი შვილი სანადიროდ. ძმები შესულან ვარდის ქედზე ტყეში, აქ ირემი წამოუგდიათ; უსროლია უფროს ძმას, მაგრამ,—დახე უბედურობას!.. ტყვია უმცროს ძმას მოჰხვდა, რომელსაც უნდოდა თურმე ირმისთვის წინადან გზა გადეჭრა. სასიკვდილოდ დაკოდილი ძმა ძმამ მოიგდო ზურგზე და ჩაიტანა ღელეში. დაჭრილმა სწორეთ ზედ ველზე დალია სული; ძმამ აქვე მიაბარა მიწას ძმის გვამი. უფროს ძმის ვაებას საზღვარი არა ჰქონდა.

ერთ დღეს მამამ უთხრა დაღონებულ

## ნაკადულის ჩუხჩუხი

(ვუძღვნი ჩემს ხაზელოვან თანამემამულეს და გულითად მეგობარს თავ. ა. ი. სუმბათიშვილს).

ძლივს დავახწიე სიბნელეს თავი და კლდის ძირიდან მოვევლინე ქვეყანას.

ამომავალ მზის სხივებს ვარდისფრად შეეღება ღრუბლები, რომელნიც ბურთებივით დამგვრალებულნი შეკუმშულიყვნენ და ის იყო სამგზავროდ ემზადებოდნენ, რათა გზა დაეთმოთ ბრწყინვალე მზისათვის.

გამოვყავი თუ არა თავი ქვეყანაში, გული გამეხსნა, ავღელდი და კეკლუცად ჩუხჩუხი დავიწყე. ზევით ცა და ქვევით დედამიწა უხვს მასპინძლობას მპირდებოდნენ. მეც კეთილის გულით მივეგებე ორივეს: ფერადი ცის სივრცე გულში ხატად ჩავისვენე და დედამიწას კი ძმურად დავეკონე, ჩავეხუტე, თავპირი დაუკოცნე. ამ ძლიერ მეგობრებთან შეკავშირებულს აღარაფრისა მეშინოდა. არხეინად მივალტვოდი მიზნისაკენ, მოუთმენლად ვჩუხჩუხებდი, დაუღალავად ვმოძრაობდი. რაც უფრო შორს ვიყავი მიზანზე, უფრო ადვილად მეჩვენებოდა გზა. ჩემი მიზანი კი თავისუფლება გახლავთ. დიახ, მე მივილტვი იქითკენ, სადაც ჰსუფევს განუსაზღვრელი თავისუფლება.

თავდაღმა დაქანებული ვსჩქეფდი, ვევლებოდი და ველერსებოდი ნაზად ამწვანებულ ბალახ-ბულახსა და ხე-ტყეს. ისინიც სიამით მიხვდებოდნენ და სიხარბით ეწაფებოდნენ ჩემს დაწმენდილ-დაკრიალებულს წყალს. ირგვლივ თანხმობასა და სიამოვნებას ვხედავდი და გული სიხარულით მევსებოდა, რომ ყოველივე თანამიგრძნობდა.

აგერ დიდებული მზეც ამობრწყინდა. ღრუბლები მიჰფანტ-მოჰფანტა და შესაფერის სიამაყით გადმოჰხედა თავის სამფლობელო დედამიწას, რომელსაც უხვად უძღვნა სასიამოვნო, თბილი, ცხოველ-მყოფელი სხივები. ასემც უნდა! ყოველი გონიერი მფლობელი ჰზრუნავს თავის სამფლობელოს კეთილდღეობისთვის. მზეს რომ ამ მხრივ საყვედური არ ეთქმის, ამას მოწმობს განუსაზღვრელი დრო, მთელი დედამიწის ისტორია...

წინ ფერადი სურათები იშლებოდა. აგერ, ატეხილი ჰალა მოუთმენლად მიმეპატიჟებოდა, სადაც თავისუფალი, ძლევამოსილი გაზაფხული უკვე გამეფებულიყო და თვალსა და გულს იტაცებდა თავის სიკეკლუციითა და სიმშვენიერით. აქ კი, მთებში, ჯერ ზამთრის ძალა უკანასკნელი ძალ-ღონით ეომებოდა თავის მოპირდაპირე გაზაფხულს. აგერ, მთის კალთაში, ამაღლებულს ფერდობს შერჩენოდა თოვლის დიდი ნაფლეთი, რომელიც სულს ძლივს ჰლაფავდა, გაზაფხულის მზის სხივებზე საცოდავად ჰკრთოდა და შიშის გამო ცრემლებად იწურებოდა. ზევით მთის მწვერვალი თეთრად შემოსილიყო და თავს მაღლა სწევდა, თითქოს ბრწყინვალე მზეს ეტოქებაო. მაგრამ იმას კი ვერა ჰგრძნობდა თავის სიამაყით დაბრმავებული, რომ მას მზესთან არ მიესვლებოდა.

რაც უფრო ცხადად ვჰვრეტდი განსხვავებას სიბნელისა და სინათლის, სიცივისა და სითბოს შორის, მით უფრო გულმოდგინედ მივექანებოდი სინათლისა და სითბოსაკენ გაზაფხულის სამფლობელოში. რამდენი სასიამოვნო აზრები მიელავდა გონებაში, რამდენი იმედები აღმიფრთოვანდა,—ვინ ჩამოსთვლის? ლაპარაკის სურვილი კი ბევრი მქონდა, ის კი არა, სულ რაკ-რაკად გადავიქეცი, ყველაფერს შევტრფოდი, ყველაფერს ვებაასებოდი, ვმღეროდი, ვცეკვობდი, ვლაღობდი და სულ წინ მივექანებოდი.

იქ, ჰალაში, დიდი მოძრაობა მოსჩანდა, დიდი სიცოცხლე და მასთან ბრძოლა. მეც მას მივილტვოდი. იქ იყო სითბო და სიხარული, სიცოცხლე და სიყვარული და მეც მათკენ მივეშურებოდი, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მანძილი მედო. აგერ ქვეყნის მნათობიც დიდებულად ჩაესვენა ზღვისაკენ. ამბობენ, ღამეს ზღვაში ატარებსო. ცა ვარსკვლავებით გაიჭედა:

„ლამაზია ვარსკვლავთ კრებაც [*])
და იმათი ლიტანია!
მიცინიან, იცინიან,
მეც ვმღერი და მიხარია!“

სულ ერთიანად ვარსკვლავებით შევიმოსე და ღამის სიბნელე ამით ვსძლიე, ავმღერდი და წინისაკენ გავექანე. ჰალას ვუახლოვდებოდი და სული კბილით მეჭირა იმის დანახვის მოლოდინში. აგერ ნავახშმევი მთვარეც ამოსცურდა, ზარმაცად აქეთ-იქით ცქერა დაიწყო, სიბნელე კუთხეებში მიმალა და შეყვარებულ ქალ-ვაჟს ტრფობის ალი გაუასკეცა.

*) ვაჟა-ფშაველის ლექსიდან „ბულბული“.

საცოდავები, მეტის ლხენით დამტკბარნი, ცრემლებად გადაქცეულიყვნენ და, თითქოს ვიღასიც ეშინიანთო, ხის ჩრდილში იმალებოდნენ.

ნეტავი რისთვის? ნუ თუ სიყვარული ამ ქვეყნად სასირცხოა?

აგერ ცისკრის ვარსკვლავმაც გამოაშუქა და ალიონის სული მოიტანა.

კვლავ ამობრწყინდა დიდი მნათობი და სულ სხვა სურათი დამისახა თვალწინ. ირგვლივ არემარეს დიდი და პატარა მოსდებოდა. ყოველივე მოძრაობდა, საქმობდა, ოფლსა ჰღვრიდა, რაღასაც ეომებოდა.

„აჭრიალდა ურმის ღერძი
და მეხრემაც შემოსძახა,
ძირს დაეშვა მზისა სხივი
მთა მაღალი გადმოლახა!
ვენახს, მინდორს, ტყეს და ჰალას
კვლავ სოფელი მოეფინა.
რა კარგია გაზაფხული,
რა კარგია მისი დილა!
ყრიამული მხიარული,
მუშაობა სახალისო“...

და მასთან სიმღერა. სიმღერა ვაჟკაცური და გამბედავი, ტკბილი და ნაზი, რამაც მთლად მომხიბლა და ამიტაცა. ამიტაცა იმიტომ, რომ ამ სიმღერებში ისმოდა ხმა ბრძოლისა და სიყვარულისა, ჰანგები თავისუფლებისადმი მისწრაფებისა.

მივყუჩდი და სმენად ვიქეც. მხოლოდ ეხლა ვიგრძენ, რომ ჩემი სიმღერა, ლაღი ხმაურობა, მოგონილი იყო ამასთან. ამიტომაც ხმა გავკმინდე. სიჩუმისა და შესვენების სურვილმა მომხვია ხელი და ნეტარების ტალღებში შემაცურა. მაგრამ ჩქარა გონს მოვედი, ჩავფიქრდი და დავრწმუნდი, რომ შეჩერება, უსაქმობა—სიკვდილია, და სიკვდილი აბა რა სასურველია? მეც განვაგრძე ნელი სრიალი და დაბალის ხმით შიშინი. მივდიოდი და ვისმენდი თვალ-ყურის გაფაციცებით, ვშიშობდი, მცირედი რამ საგულისხმიერო არ გამომპარვოდა. მსურდა შთამენთქა მთელი იმ მოძრაობის უმთავრესი ძარღვი, რომელიც ყოველივეს ჩემს ირგვლივ ამოძრავებდა, ამოქმედებდა, აღელვებდა, წინ, თავისუფლებისაკენ მიაქანებდა.

ჩუ! აგერ გლოვის ზარიც შემომესმა. ქვრივი ვაჟკაც ქმარს მოსთქვამდა და გულშემატკივარი დაძმასა. აქვე გამამხნევებელი, ვაჟკაცური ხმა გაისმოდა, ცრემლის დამგმობელი, საბრძოლველად ასაგულიანებელი. თურმე სიამესთან სიმწარეც ახლოს ბუდობს, ბედნიერებას უბედურებაც თან დასდევს!

აი, დაკოდილი გმირიც! ცალ ყურმოფლეთილი და მარჯვენა განგმირული, ის მუხლთ იყრის ჩემს წინაშე და ჩემს ანკარა წყალს ჰკოცნის, ეწაფება, იგრილებს გულმუცელს და იბანს დასისხლიანებულ ნაწილებს.

ეს პირველი ჩემი ზიარებაა. მე ცხადად ვგრძნობ, რომ გმირის სისხლი მეც ძალას მომცემს, გონებას შემმატებს, ბრძოლის მასწავლის, აიაზმად მეპკურება და კურთხევად შემერგება. ოხ, დაილოცოს შენი ჯანი მეთქი,—მივაძახე. ერთხელ კიდევ დაეწაფა ჩემს ანკარას, ხელსახოცით იარები შეიკრა, შიგ გულის სიღრმეში მადლობის ნიშნად ჩამომხედა, გზა მშვიდობისა დამილოცა და მიიმალა.

მეც ნელის ბიჯით მივდიოდი. ვინ მოსთვლის, რამდენი საგულისხმიერო რამ ჩამეწვეთა ჰკუა-გონებაში, რამდენი გრძნობის ასამაღლებელი სურათი სწვდა ჩემს მხედველობას. იმას კი აშკარად ვგრძნობდი, რომ აქაურობამ გმირული გრძნობები აღმიძრა, რაღაც უხილავის ძალით სიმამაცე ჩამინერგა გულში და ძალღონე შემმატა. ეხლა მეც საბრძოლველად მზად ვიყავი. დეე, მთელი ქვეყნის დაბრკოლება გადამეღობოს! ეხლა აღარაის მეშინია. ერთი ისა და ერთიც მე! ვნახოთ, ვინ ვის დასძლევს!

თავისუფლება ბრძოლით მოიპოვებაო, რომ გაიძახიან, მეც საბრძოლველად მზადა ვარ. მაშ ვნახოთ!..

მაგრამ დაბრკოლება არსად იყო. ისევ წყნარად მოვშიშინებდი, ისევ სიამესა და ნეტარებას ვგრძნობდი, ბრძოლის ველსაც განვშორდი. აგერ, სოფლის ბოლოზე პირუტყვი საძოვრად გამოფენილიყო. ამანაც ტკბილად შეირგო ჩემი ანკარა, ცოტაოდნადაც მითავაზა და ისევ მინდვრად გავიდა. პატარა მწყემსებიც დაკაპიწებულის მუხლებით გამომეხმაურნენ, სალამი მომცეს და თავიანთ სამწყსოს გასდიეს. ისევ ქვევით დედამიწისა და ზევით ზეცის ამარად დავრჩი. ბუნება მიყუჩებულიყო. შირიახლოს დინჯად ჩაფიქრებული ტყე სდუმდა. ფოთლებიც თითქოს რაღაცის მოლოდინში ხმას არ იღებდნენ. მხოლოდ შორიდან სოფლელის ჩახრინწული „ჰკა მაგას!“ ისმოდა, კიდევ ბრძოლის ხმა!—გამიელვა თავში და ავცრცოლდი.

მოულოდნელად, ელვასავით, გაჭენებული ცხენები შემომეჭრნენ, თქარა-თქურით გადალახეს ჩემი ან-

შვილს: წავიდეთ, შვილო, სანადიროდ, გულს გადავაყოლებთ... გასწიეს სანადიროდ, შევიდნენ კიდევ იმ ტყეში, წამოუხტათ ირემი; ესროლა მამამ და მოჰხვდა შვილს... მაღლა ქედიდან ველამდის მამამ ზურგით ატარა სასიკვდილოდ დაჭრილი შვილი; აქ კი ამანაც სული დალია. შეწუხებულმა მამამ იმასაც ძმის გვერდზე გაუთხარა საფლავი და მიაბარა მიწას.

შვილების დაკარგვამ დედ-მამა ძალიან დაადონა. მას დღეს აქეთ ვაჟების დედა დადის სოფლიდან სოფლად კარ და კარ და თხოულობს ყველასაგან წამალს დაჭრილ შვილების საშველად; ვაჟების მამა კიდევ დაძრწის ტყე-ღრეში, სოფლიდან სოფლად, დამე მიდის საფლავთან და შვილებსა ყარაულობს; ეს სისველეც მიწისა დედ-მამის ნადენი ცრემლია,—ასე ამბობს ხალხი.

აქ მოყვანილი ლექსი ნაწყვეტი უნდა იყოს დიდი თქმულობისა, რადგან ჩემს ნაკითხვაზე ამ მოხუცს უთქვამს: კიდევ ბევრია, შვილო, მაგრამ დამავიწყდა, აღარ მახსოვსო.

ი. კარგარეთელი.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**მირონის ცხება.** დღეს, 13 სექტემბრისთვის, ეჩმიაძინში დანიშნულია მირონის ცხება სრულიად სომეხთა კათალიკოსის მათეოს მეორისა. მირონ ცხებაზე დასასწრებლად ტფილისიდან ბევრი სომხობა წავიდა. სხვათა შორის წავიდნენ ტფ. ქალაქის თავის მოადგილე ალ. ივ. ხატისოვი, გამგეობის წევრი ნ. ე. არგუთინსკი და სხვანი.

**ვალის სარგებელი.** მოსკოვში ძმათა ჯამგარიანების საბანკირო კანტორისა ტფ. ქალაქის თვითმართველობას მართებს 319,137 მ. კანტორა სწერს ქალაქის გამგეობას, ვალის გადახდის ვადა კანტორამ გადასდო, რადგან ქალაქი შევიწროებული იყო; კანტორას იმედი ჰქონდა, რომ გამგეობა დროზე სარგებელს მაინც მოგვაწოდებდა. 1 სექტემბრამდე კანტორას 40,000 მანეთამდე სარგებელი ერგება და გამოგვიგზავნეთო. გარდა ამისა, კანტორა სთხოვს გამგეობას, გაუგზავნოს 26,700 მან., რომელიც ერგება განაღდებულ ობლიგაციებში. ქალაქის გამგეობამ მისწერა, რომ ქალაქი მალე აიღებს სესხად $3^1/_2$ მილიონ მანეთს და ვალს გაგისტუმრებსო. გამგეობა სთხოვს კანტორას რამდენისამე ხნით კიდევ აცადოს ვალის გადახდა.

**კატორგა.** 10 სექტემბერს კავკ. სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე არაქელა ოქრუაშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ს.-დ. პარტიის ტფილისის კომიტეტის წევრობა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ოქრუაშვილი და მიუსაჯა 8 წლით კატორგა.

**ახალი ჟურნალი.** დღეს გამოვა ახალი ყოველკვირეული ჟურნალი „ერი“ შემდეგის შინაარსით: რედაქციისაგან, შინაური მიმოხილვა, „სიმღერა“, ლექსი ვაჟა-ფშაველასი, „გაროზგილი“, მოთხრობა ი. ელეფთერიძისა, „სონეტი“, ლექსი ი. გრიშაშვილისა, „მინიატურები“, ნ. ლორთქიფანიძისა, „ერის უფლება“, Bâton-ისა, ქართულ სამართლის ისტორია, ივ. ჯავახიშვილისა.

**სათეატრო გაზეთი.** 17 სექტემბრიდან ტფილისში გამოვა რუსული ყოველდღიური სათეატრო გაზეთი, რედაქტორად იქნება საოპერო დასის ანტრეპრენიორი ეიხენვალდი, ხოლო გამომცემლად გ. ერიციანი. ამ გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ, სხვათა შორის, „იკარის“ საზოგადოების წევრნი.

**რევიზიის შედეგი.** როგორც ვიცით, მოხდა რევიზია კავკასიის სატუსაღოებისა. როგორც „კასპის“ ატყობინებენ, შედეგად ამ რევიზიისა ის მოჰყოლია, რომ გადაუდებიათ $1^1/_2$ მილიონი მანეთი ოთხ სატუსაღოს შესაკეთებლად.

**ექსპროპრიატორის შეპყრობა.** ბაქოში, დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, 11 სექტემბერს შეუპყრიათ ვიღაც ბაგატუროვი, რომელსაც მუქარის წერილით ფული უნდა დაეტყუა ერთი კაცისთვის. წერილს ეწერა თურმე „ბაქოს ტერორისტთა ჯგუფისაგან“.

**სასჯელის გადადება.** ბაქოში სამხედრო სასამართლომ ათი წლით კატორგა გადაუწყვიტა ადგილობრივ მცხოვრებ ყაზარიანცს, რომელმაც შურის საძიებლად ერთი თავის ნაცნობის სახლში ყუმბარა შეაგდო. პროკურორმა საქმე განასაჩივრა მთავარ სამხედრო სასამართლოში, რომელმაც ყაზარიანცს 10 წლის კატორგა 12 წლიწადად შეუცვალა.

**ლექცია.** ზუბალაშვილის სახალხო სახლში ორშაბათს, 14 სექტემბერს, სტუდენტი გიპნოტიზორი პეტრუსოვი წაიკითხავს მეორედ ლექციას გიპნოტიზმის შესახებ. აჩვენებს რამდენიმე საინტერესო მაგალითს. დასაწყისი დილის 11 საათზე.

**სეირნობა და წარმოდგენა.** სამშაბათს, 15 სექტემბერს, ქართულ თავად-აზნაურობის საზაფხულო თეატრში და ბაღში გაიმართება დიდი სეირნობა და წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება რუსულად „მე მოვკვდი“, ქართულად—„მუქთა-ხორა“, სომხურად—„უბედური დებიუტი“. სეირნობა დაიწყება 4 საათზე. წარმოდგენა $8^1/_2$-ზე.

**ყუმბარა შუშაში.** როგორც მკითხველებმა იციან, ამას წინად (30 ივლისს) შუშაში ვიღაცებმა განიზრახეს ადგილობრივ ქალაქის თავის ქალანთაროვის მოკვლა, ესროლეს ქუჩაში ყუმბარა, დასჭრეს თვითონ ქალანთაროვი და მოჰკლეს მისი შვილობილი სტუდენტი. მას შემდეგ გამოძიებას შეუდგნენ. 11 ივლის მაძებარ პოლიციის აგენტებს, რომელნიც ამ საქმეს იძიებდნენ, ორმა უცნობმა ყუმბარა ესროლა. ყუმბარა გასკდა, მაგრამ აგენტებს მოუსწრიათ დამალვა და არავინ დაშავებულა. ამ ამბავს გადმოგვცემს პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო და ბოლოში უმატებს: ეს ბოროტ-მოქმედება მოაწყო დაშნაკცუთიუნის პარტიის კომიტეტმაო.

**შეღავათი ოპერაში.** ტფ. სახაზინო თეატრის საოპერო დასის ანტრეპრენიორმა ეიხენვალდმა მიმართა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოხელე მოსამსახურეებს, და აცნობა, თუ ისინი აიღებენ ბილეთებს საოპერო წარმოდგენებზე სასიარულოდ, ბილეთები მათ 10% დაკლებით დაეთმობათ და ფული შეუძლიანთ თვეში ერთხელ იხადონ.

**იჯარით გაცემა.** ზაფხულის საჯარო ვაჭრობის შემდეგ ქუთაისის ბანკის ტფილისის განყოფილებას გაუყიდველი დარჩა 8 სახლი. ბანკის განყოფილება შეუდგა ზრუნვას, რომ ეს სახლებიც იჯარით გასცეს, როგორც ბანკზე დარჩენილი 17 სახლია გაცემული.

**განმარტება.** სენატმა განმარტა, რომ კავ. ნამესტნიკის განმარტება მთავარ სახალხო სასამართლოს (главный народный судъ) განაჩენის დამტკიცების თუ გაუქმების შესახებ საბოლოოა და მისი განსაჩივრება სენატში არ შეიძლებაო.

**დელეგატები.** ამ დღეებში მოხდა ტფ. მოქალაქეთა რწმუნებულების სხდომა მამასახლისის არაქელიანის თავმჯდომარეობით. არაქელიანმა განაცხადა, 13 სექტემბერს ეჩმიაძინის მონასტერში სრულიად სომეხთა კათალიკოსის მირონცხებაა დანიშნული და ტფ. მოქალაქეების სახელით ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა ამ სადღესასწაულო დღეშიო. რწმუნებულებმა სასურველად სცნეს დელეგატების არჩევანი. არჩევნების დროს გამოირკვა, რომ თითქმის ყველას უნდოდა დელეგატობა. ამის გამო ისე აერიათ საქმე, რომ ვერავინ ვერ აირჩიეს.

**საადგილ.-მამულო კომისია.** ტფ. თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსთან არსებულ-საადგილ-მამულო კომისიისთვის საწარმოვოდ 1908 წელს თავად-აზნაურთა საზოგადოებამ 10,000 მან. გადასდო. ამდენივე ფული გადასდო კრებამ წელსაც, ასე რომ კომისიას 20,600 მან. უნდა მიეღო. სამწუხაროდ, სხვა და სხვა მიზეზისა გამო ამ ფულიდან კომისიას არაფერი მიუღია და ეს გარემოება ხელფეხს უკრავს კომისიას. თავად აზნაურობამ ღირს საყურადღებოდ სცნო კომისიის მოქმედების გაფართოება და, საკვირველია, რატომ ფულს კი აღარ აძლევს.

—

**შეცდომის გასწორება.** ჩვენ გაზეთში შეცდომით იყო მოხსენებული, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ სცენაზე დასადგმელად ალ. მირიანაშვილს გადმოუკეთებიაო. უნდა იყოს: პეტრე მირიანაშვილს.

# პატარა ფელეტონი

## ნეტა იმას, ვისაც ბავშვები არა ჰყავს

ამ დღეებში ერთი ნაცნობი შემხვდა. ძალიან დაღონებული იყო. გამიკვირდა. ყოველთვის მხიარული ჩემი ნაცნობი რამ დააღონა მეთქი, —გავიფიქრე გუნებაში,—მახლობელი ხომ არავინ მოუკვდა და დავემზადე სამძიმრის სათქმელად, მაგრამ ნაცნობმა თვითონ შემომჩივლა.

—გიკვირს არა, რომ დაღონებულს მხედავ? გეგონა, წინანდებურად მხიარულად მნახავდი. მაგრამ რა ვუყოთ, ძამიავ, ქვეყანა გამოიცვალა. საუბედუროდ, როგორც იცი, ამ რამდენიმე წლის წინად ცოლი შევირთე, ჩემმა ცოლმა გამაბედნიერა და სამი შვილი მაჩუქა. ახლა არ იტყვი, რა შვილები? არ დაიჯერებ, ანგელოზებსა ჰგვანან. ვინ მოიფიქრებდა, რომ ეს ანგელოზები ამდენ დავიდარაბას მომაყენებდნენ. კი არ იფიქრო, ამ ოხერს ბავშვების ჩაცმა-დახურვა აწუხებსო. რა სათქმელია! სახლი ვერ მიშოვნია, სახლი, ჩემო ძამიავ! სულ შემოვიარე ქალაქი და სახლს არავინ მაძლევს, შვილები გყოლიაო. არა ამ ოჯახ დასაქცევებს, ამათ რა, მე რომ შვილები მყავს, ისინი ხომ არ ინახავენ? წარმოიდგინე, ვეფიცები სახლის პატრონებს ჩემი შვილები ანგელოზები არიან მეთქი, არავის შეაწუხებენ მეთქი; მაგრამ შენც არ მომიკვდე, ახლო არ მიმიკარეს, საიდანაც მოსულხარ, იქით წადიო. მეც დავეხეტები ამ ქალაქში და ვეძებ გულკეთილ სახლის პატრონს, რომ ბინა მომაქირაოს. რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, რომ შვილები მყავს?

სთქვა ეს ჩემმა ნაცნობმა და სახლის საძებნელად გასწია. მეც, ცოტა არ იყოს, დავფიქრდი. ერთი მხრით კი მიხაროდა, რომ შვილები არა მყავნდა, თორემ ვინ გაუძლებდა ამ დავიდარაბას! თავად აქამდე ვყოყმანობდი ცოლის შერთვას და ეხლა ხომ აზრშიაც აღარ გავივლებ ამისთანა საჯაჲ საქმეს. საწყალი გასათხოვარი ქალები—სახლის პატრონებიც კი მათ წინააღმდეგ ამხედრდნენ!

ამ ფიქრით სახლისკენ გავწიე. ისეთი სახის გამომეტყველება მივიღე, კაცს ეგონებოდა ახალი სისტემის ჰაეროპლანი გამოუგონია და ბლერიო, კურტისი და სხვები სულ გაუფასებიაო. ან რატომ არ გავიბერებოდი, მე ვიცი ჩემი ნაცნობივით სამი შვილი მყავს და წარამარა სახლის პატრონები მაგდებენ!

ჯერ სახლში არც-კი მივსულიყავ, რომ მეორე ნაცნობი შემხვდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, ძალზე დაღლილი იყო. ხმას ველარ იღებდა. გამომიწოდა რაღაც ბარათი და ის-ღა მითხრა მხოლოდ, რომ გაზეთში ჩააგდეო“ (იცოდა, რომ გაზეთში ვმუშაობდი). აი ამ ბარათში რა ეწერა:

თითქმის სრული ორი თვეა, რაც ტფილისის ქუჩები გადავთელე სახლის საძებნელად. ვერა და ვერ იქნა ვერსად ვერ დავიქირავე, და ახლა მკითხავთ, თუ მიზეზი რა არის? ის არის, რომ ბავშვებიანი ვარ და ბ-ნნი სახლის პატრონნი კი ბავშვებიანს არამც და არამც არ აქირავებენ, რასაც მოწმობს ერთ-ერთი ბარათი ერთ-ერთ სახლის პატრონისაგან მოწერილი პასუხად ჩემს კითხვაზე.

გადმომცა ის „ერთ-ერთი ბარათიც ერთ-ერთ სახლის-პატრონისაგან მოწერილი“. ბარათი რუსულად არის დაწერილი (ამ ჟამად ეს ბარათი რედაქციაში ინახება). გასაქირავებელი ყოფილა ორი ოთახი. ამ ჩემ ნაცნობს წერილი მიუწერია სახლის პატრონისთვის: „მაცნობეთ, შეიძლება თუ არა სამზარეულოთი ვისარგებლო და მიაქირავებთ თუ არა ორ ოთახს—პატარა ოჯახს, ოთხი სულისაგან შემდგარს? მაცნობეთ ფასიც“. სახლის პატრონს ამავე ბარათზე წაუწერია: „მოგაქირავებთ თვეში 30 მანეთად იმ პირობით, თუ პატარა ბავშვები არა გყავთ. სამზარეულო არის“.

თავზე ხელ-აღებული უნდა იყოთ, რომ ამის შემდეგ ცოლი შეირთოთ! ცოლს შეირთავთ, თვის თავად შვილები გეყოლებათ, მით უმეტეს, თუ ან მოხუცი დედა ან დიდედა გყავთ: გაგიჭირებენ საქმეს, შვილო ისე ნუ მომკლავ, რომ შენ შვილს არ მოვესწროვო! გაგიჩნდება შვილი და მაწანწალასავით ქუჩებში მოგიხდება ხეტიალი.

ხუმრობა იქით და განა არ შეიძლება სახლის-პატრონების მადის ალაგმვა? როგორ არა. აი, მაგალითად, ვარშავაში რა უქნიათ. სახლის დამქირავებლები შეკავშირებულან და ბიურო დაუარსებიათ. კავშირის თვითეული წევრი მოვალეა შეატყობინოს ბიუროს სახლის პატრონების საქციელი. ბიურო იწვევს საზოგადო [illegible] პატრონს ან ბოიკოტს უცხადებს, ან სხვა [illegible]. ჩვენშიაც მოხერხდება ასეთა რამ და თუ მოხერხდება რატომ არ უნდა განვახორციელოთ?!

ერთად-ერთი.

# ოსმალეთის ამბები

## საუბარი ოსმალელ გლეხებთან.

„რუსკ. ვედომოსტი“-ს კორესპონდენტს ქალ. ბრუსაში უსაუბრნია კიდეც ოსმალელ გლეხებთან. ბრუსას გამოფენის სანახავად სტამბოლიდან სულთანი მაჰმად მეხუთეც მოვიდა და გლეხებსაც, რაღა თქმა უნდა, ენახათ იგი. კორესპონდენტს ეკითხა გლეხებისათვის:

— ჰნახეთ სულთანი? მოგეწონათ?

— როგორ არ მოგვეწონებოდა! სტამბოლში ყოველ კაცს შეუძლიან მისი ნახვა. ახალი სულთანი როდი იმალება. ჩვენ სტამბოლში არა ვყოფილვართ და როცა გავიგეთ, რომ სულთანი ბრუსაში მოდისო, ყველანი წამოვედით მის სანახავად. მთელი ჩვენი სოფელი წამოვიდა. სახლები დავკეტეთ, ყარაულები დავაყენეთ და დიდი და პატარა, მოხუცი თუ ბავში, ქალი თუ კაცი—სულ აქ წამოვედით.

— ძველი სულთანი-კი არსად დადიოდა, არა?

— დიახ, ძველი არ დადიოდა, აბლად, ხალხისა ეშინოდა.

— რად ეშინოდა ხალხისა?

ჯერ გაჩუმდნენ და მერე ერთმა სთქვა:

— ხალხი არ უყვარდა. ხალხისთვის არ ზრუნავდა. მარტო თავისი თავი აგონდებოდა. ხომ გაიგეთ, რამოდენა სიმდიდრე მოუგროვებია თავის სასახლეში. მთელი თვე ზიდეს თურმე და მაინც ვერ გაზიდეს... ხალხს-კი სიღარიბეში ამოსდის სული.

— ცუდი ვეზირები ჰყავდა ძველ სულთანს. აქ ხალხმა ერთი მისი საყვარელი ვეზირი—ფეხმი-ფაშა ხელით გაგლიჯა—იქნება გაგეგოთ კიდეცა. საშინელი ბოროტი იყო.

— ახალი სულთანი-კი კეთილი კაცია, ჩვენ იმას უყვარვართ, ჩვენ კიდევ ის გვიყვარს. ის ჩვენთან მოდის, ჩვენ იმასთან მივდივართ. სულთანი—მამაა, მამაზე უკეთესიცაა. რად უნდა ეშინოდეს თავის შვილებისა?

ერთგან ლაპარაკი ჩამოვარდა კონსტიტუციაზე. ერთმა გლეხმა სთქვა:

— სულთან აბდულ-ჰამიდს უნდოდა მთელი ძალა მარტოკას თვითონ ჰქონოდა ხელში; იგი ჰფიქრობდა: თუ ხალხს თავისუფლება ექნება, მე ძალა გამომეცლება ხელიდანო. მას არ ეთმობოდა თავისი ძალა, არ უნდა ხალხისთვისაც წილი ჩაედო სახელმწიფოს მმართველობაში. მაგრამ განა ერთ კაცს შეუძლიან ამოდენა სახელმწიფოს მოვლა? ამიტომაც იყო ჩვენში ცუდი მმართველობა, მუდმივი უწესოება და საყოველთაო უკმაყოფილება. ცუდი სულთანი იყო. ეხლა სტამბოლში ჩვენი კაცები სხედან ოსმალეთის ყველა კუთხიდან და კანონებს სწერენ, სულთანიც ხელს არ უშლის. ისინი კანონებს სწერენ, ხოლო სულთანი ამბობს: დაე ეგრე იყოს, როგორც თქვენ გინდათ; თქვენ უკეთ იცით, რაც გჭირიათ, დეე თქვენი ნებაზე იყოს ყველაფერი. ახალი სულთანი არ ეწინააღმდეგება და არც ემალება ხალხსა. ამიტომ ეხლა ყველა კმაყოფილია.

— საიდან იცით ეგა? გაზეთებში წაიკითხეთ?

— რა საკვირველია, რომ ვიცოდეთ? მთელი ქვეყანა ლაპარაკობს და მეჩითებშიაც მოლები გვიხსნიან. კარგად ვიცით ყველაფერი.

— ეხლა, ახალ წესების დროს უფრო კარგად ცხოვრობთ.

— აბა რა გითხრათ! რა დიდი ხანია, რაც ჩვენში ახალი წესები დაწესდა! ერთბაშად ყველაფრის გამოცვლა შეუძლებელია, მაგრამ მაინც ვგრძნობთ, რომ თითქო გუ-

---

კარა და, თვალის მოვლება ძლივს მოვასწარი, გაჰქრნენ. სოფლისაკენ მიექანებოდა შეიარაღებულ მებრძოლთა ორი თუ სამი ათეული.

უეცრივ ცა მოიღრუბლა. ქარი აზუზუნდა და ხე-ტყე მძლავრად შეამოძრავა. მიყუჩებული ფოთოლი, თითქოს გაქცევას ჰლამობსო, იქითაქეთ ახლიდა თავს და ძალზე შრიალებდა, მზის სხვი ვეღარა სძლევდა სიბნელეს. მხოლოდ დაკლაკნილი ელვის ხაზები წუთებრ ანათებდნენ მოქუშულ ცის კუთხეს, თითქოს იმისდა დასამტკიცებლად, თუ რა განსხვავებაა სინათლისა და სიბნელის შორის. ელვას ჰექა-ქუხილი მოსდევდა, რამაც თავზარდაცემული პირუტყვი აახმაურა. განრისხებულმა ცამ პირი აიხსნა და დედამიწაზე კოკისპირული წვიმა დაუშვა. თულივით მომვარდა ახმაურებული ტალახნარევი წვიმის წყალი და ჩემის წყნარის კალაპოტიდან იქით-აქეთ მიმახეთქა. დღემდე ვერ გამირკვევია ის გრძნობა, რომელიც ამ მოვლენამ მომგვარა. მხოლოდ ეს ვიცი კარგად, რომ ჩემი ნელი შიშინი დიდ ხმაურობად შეიცვალა. ირგვლივ ჰექა-ქუხილმა მეც ძალზე ამახმაურა და ქარისა და ხე-ტყის ხმაურობასთან შეზავებული ჩემი ხმაურობა ერთს მრისხანე ჰარმონიას ჰქმნიდა. განზრახულებივით ყველანი ერთს გზას ვადექით და ვილასაც ვემუქრებოდით. მოდი, შემებრძოლე, თუ ვაჟკაცად ვარგიხარ! —გავიძახოდი, მაგრამ მოპირდაპირე არა სჩანდა. ქარი უფრო მძლავრდებოდა და წვიმის თქიშინიც მატულობდა.

უეცრივ მოქუშული ცა მოიწმინდა. გადახრილმა მზემ კვლავ თავისებურად ქვეყანა გააბრწყინა. ქარიც დასუსტდა და ბოლოს სულაც მიყუჩდა. ეხლა მხოლოდ ჩემი თქიშინი არღვევდა საერთო სიჩუმეს და დაცრემლიანებული ფოთოლი საერთო მხიარულობას. მართლაც საბრალო ფოთოლი ისეთს ცრემლებსა ჰყრიდა, გეგონებოდათ, ვიღასაც დიდი შეურაცხყოფა მიუყენებიაო.

მე კი ვხმაურობდი და მეტის სისწრაფით მივექანებოდი. ტალახიც დავილექე და ისევ გავანკარავდი.

უეცრად ერთს დიდ ლოდს მივაწყდი.—ვერ გაგიშვებო,—მომძახა და მოულოდნელად გზა შემიკრა. ეჰ,—ვიფიქრე,—ეს არის ჩემზედაცმოვიდა ბრძოლის ჟამი მეთქი და ძალ-ღონე მოვიკრიბე. მოუარე გარშემო ლოდსა და რას ვხედავ? ლოდის უკან ერთი ძალზე დაქანებული ადგილი პირდაპირ ჯურღმულისაკენ მიიმართება. გავგზავნე შიკრიკები, ვხედავ წვრილ წვეთებად დაიქსაქსნენ და ჰაერში აჩქეფდნენ. გავექანე, რაც ძალი და ღონე მქონდა, და ლოდს შიგ შუბლში დავეჯახე, მაგრამ დავრწმუნდი, რომ თავი და თავი სიმძიმე ძირში ჰქონდა და ეხლა კი გადავსწყვიტე, რომ აქედან უნდა შებრძოლება. მხოლოდ ძალ-ღონე უნდა მოვკრიბა და ბეჯითად მოვკიდებოდი შრომას. აშკარად ვხედავდი, რომ აჩქარებით საქმე არ გაკეთდებოდა და მეც მოთმინება მოვიხმარე. თან და თან, ნელ-ნელა გამოვუთხარე ლოდს ძირი და დავეჯახე მთელის ჩემის ძალ-ღონით, მაგრამ ცხვირპირი დავიმსხვრიე და უფსკრულს ჯურღმულში გადვიჩეხე. გამარჯვებამ გვერდი ამიარა, მხოლოდ გულს მაინც არ ვიტეხდი. ბრძოლა ხანგრძლივი შემექნა, მაგრამ მოთმინებას მაინც არა ვკარგავდი და საქმე წინ მიმყავდა. ძალიან კარგად ვიცოდი და მუდამ მახსოვდა, რომ მუდმივის გულ მოდგინებით მომუშავე წვეთიც კი დიდს ქვას გასთხრის და ამით აგულიანებული იმედს არა ვკარგავდი. რაც დრო მიდიოდა, უფრო და უფრო ვუთხრიდი ლოდს საძირკველს და აშკარად ვჰვრეტდი, რომ გამარჯვება ჩემკენ უნდა გადმოსულიყო.

ერთს მშვენიერ დღეს, როცა ბრწყინვალე მზე შუაგულ ციდან ამაყად იცქირებოდა და გულუხვად ჰგზავნიდა თავის ცხოველმყოფელ სხივებს, გავიხედე, ერთი დაქანცული შეიარაღებული მხედარი მოადგა ჩემს ნაპირს, დამეწაფა, ჩამკოცნა, შუბლი გაიგრილა, ისევ თავის მერანს მოახტა და თვით ლოდის ძირთან შეაცურა.—უჰ, აქ რა ღრმა ყოფილა ეს პატარა ნაკადულიო?—გაიკვირვა, გავიდა ნაპირზე, ჩამოხტა ცხენიდან, მოხსნა უნაგირი, აღვირი ახსნა და მერანი საძოვრად გაუშვა. თვითონ უნაგირს თავი მიადო და წამოწვა მინდორზე, ლოდის იქითა მხარეს, საიდანაც ჩემი ანკარა სჩქეფდა და წვრილი წვეთები ცისარტყელას ფერებად იღებებოდა მზის სხივებზე.

—აქაც ბრძოლაა, აქაც ორთაშუა შეტაკებაა!—წამოიძახა მხედარმა, უნაგირს თავი აართვა, წამოჯდა და დიდის ყურადღებით ცქერო დამიწყო.

ის იყო ძალ-ღონე მოკრეფილი, იერიშის მიტანას ვლამობდი, ვკრთოდი და ვღელავდი. მოხერხებული წამიც დადგა, და ვეჯახე მთელის ჩემის ძალ-ღონით და ეს უშველებელი ლოდი ჯურღმულში გადვისროლე. ერთი საშინლად დაიღრიალა დამარცხებულმა მტერმა და თავქვე დაეცა. ის იყო და ის! მეც ნელ-ნელა ჩავჩუხჩუხდი ქვევით. ჩემი ზედაპირი სარკეს დაემსგავსა, ისე დავწყნარდი და დავმშვიდდი. თითქოს არც არასოდეს არ აღელვებულიყავი, ისეთის სიმშვიდით დავიწყე ნელი ჩუხჩუხი. გულში კი სიხარული მიღიტინებდა და ტკბილს, სასიამოვნო ღიმილს მგვრიდა.

—ა, ყოჩაღ, ბიჭო, ვაჟკაციც ასეთი უნდა!—შემომძახა მხედარმა, ერთი ლაზათიანად ვაჟკაცურად დამეწაფა, მუხლები დაიკაპიწა, ყურადღებით დაათვალიერა ის ადგილი, სადაც ლოდი იდვა, შემდეგ ქვევით ჩავიდა, იქაც მიიხედ-მოიხედა, თავი გააქნია, ნაპირს გავიდა, ტანთსაცმელი გაისწორა, ფეხთ ჩაიცვა, ცხენს იარაღი დაადგა, ზედ მოხდენილად მოახტა, ერთი მათრახიც უთავაზა და სწრაფად გზას გაუდგა. რომ მშორდებოდა, ერთი ტკბილი ალერსიც მიძღვნა:

—მშვიდობით, ტკბილო და საამო ნაკადულო, ჩემო დაუვიწყარო მასწავლებელო!—და კიდეც მიიმალა.

მხოლოდ შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი.

ნუ თუ იმანაც მოიშორა გულიდან თავის სულთამხუთავი ლოდი და ერთი არა მნახა, სიხარული არ გამიზიარა?

ივანელი.

ლიდან რაღაც ლოდი მოგვეშვაო. ჩვენ მომავლის იმედი გვაქვს...

— რას ელით მომავლისგან?

— სამართლიანობას ველით, სიმართლის იმედი გვაქვს.

ამ ხალხს მხოლოდ მომავლის იმედი აქვს, მაგრამ მას მაინც ეხლავე შეუყვარებია ახალი წესებიც და ახალი სულთანიც... აბდულ-ჰამიდს-კი ეგონა, რომ ამ კეთილ ხალხს მხოლოდ მახვილი და სასტიკობა მოუხდებოდა..

მეორე დღეს ჩვენ მივატოვეთ ბრუსსა, ისევ სტამბოლისკენ გავემართენით, მხოლოდ გზაში ყველაფერს სულ სხვა თვალით ვუყურებდით: ჩვენ საკუთარის თვალით ვნახედ, რომ ოსმალეთს მაგარი საფუძველი აქვს—ჰყავს ძლიერი, საღი და თავისებურად კულტურული ერი....

**შევკეთ-ფაშა გერმანიაში.**

ოსმალეთის ჯარის გენერალისიმუსმა მახმუდ-შევკეთ-ფაშამ ბერლინში ინახულა პრუსიის გარეშე საქმეთა მინისტრი ფონ-შენი და დიდ ხანს ესაუბრა მას. საუბარს დაესწრო ოსმალეთის ელჩიც. შევკეთ-ფაშამ დაათვალიერა სამხედრო დაწესებულებანი და მერე ჰესენში წავიდა კრუპის ქარხანაში, სადაც იგი დაესწრება შორს მსროლელ ზარბაზნების გამოცდას. გენერალისიმუსმა უთხრა ჟურნალისტებს: ჩემს მოსვლას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მე დიპლომატი არა ვარო.

# ბ ა ხ მ ა რ ო

არა მგონია, საქართველოში რომელსამე სააგარაკო ადგილს ისეთი მომავალი მოელოდეს, როგორც ბახმაროს.

ბახმარო მდებარეობს გურია-აჭარის მთაში, ოზურგეთიდან 35 ვერსის მანძილზე. ოზურგეთიდან სოფ. ვაკიჯვრამდე, ათ ვერსზე, კარგი საეტლო გზაა, ვაკიჯვრიდან კი იწყება აღმართი; მიდის წვრილი გზა, რომელიც ადგილ-ადგილ ისე შევიწროვებული და დაღარულია, რომ ორი ცხენი, აქეთ-იქიდან მომავალი, ერთმანეთს გზას ვერ აუქცევს. მგზავრები ბახმაროზე ფეხით ან ცხენით მიდიან. ბავშვები აჰყავთ ცხენებით, რომელსაც ხურჯინივით გადაჰკიდებენ ხოლმე ცხენს. (იხილე სურათი დღევანდელ დამატებაში) თითო ცხენზე ერთი ან ორი ბავშვი ზის. ეს აღმართი მიდის საომლიას მთამდის, ვაკიჯვრიდან 15 ვერსის მანძილზე. საომლიიდან გზა ბახმარომდე ცოტა უფრო უკეთესია.

ბახმაროს საუცხოვო მდებარეობა აქვს. აქეთ-იქიდან მაღალი მთები აკრავს, სადაც ზაფხულში თავისუფლად დასეირნობს სხვა და სხვა ჯოგი: ცხენისა, ძროხისა, ცხვრისა. ცხრა თვე ეს მთები თოვლით არის შემოსილი და არავითარი სულდგმული იქ არ იმყოფება; სამაგიეროდ, ზაფხულის სამ თვეს ცხოვრება სდუღს და გადმოდის. პირველად ჰრეკავენ ძროხისა და ცხვარის ჯოგებს, მერმე ცხენისას და ბოლოს ადის სააგარაკოდ ყველა, ვისაც სურს მოისვენოს ცხრა თვის რომისაგან. მოსვენება აქ მართლაც სრულია: ხალხთა ჟრიამულს მოწყვეტილი და ბუნებას ჩახუტებული ადამიანი აქ სულითა და სხეულით ისვენებს.

წელს ბახმაროში ავად მყოფებიც ბლომად იყვნენ. მშვენიერი მთისა და ზღვის შეზავებული ჰაერი მეტად კარგად მოქმედებს კაცზე და ავადმყოფნი ძალიან ხშირად ეღირსებიან ხოლმე განკურნებას. წელს ბახმაროზე იყო ერთი ექიმი და რამდენიმე ფერშალი, გაიხსნა აფთიაქიც. არსებობს ბახმაროსა საზოგადოება — „ჯანმთელობა", რომელიც განაგებს ბახმაროს საქმეს. ადმინისტრაცია ამ საზოგადოებას ხელს არ უშლის. საზოგადოებას აქვს თავისი რესტორანი, სადაც მეტად იაფად იშოვება უგემრიელესი საჭმელი (სადილი, ორი თავი დირდა 25,30 კ.) არის რამდენიმე დუქანიც. რძე, ყველი, ნაღები ბახმაროზე ბლომად არის, რადგან ძროხისა და ცხვრის ჯოგები იქვეა.

ხალხის გასართობად გამართულია ბეჭდი, თეატრი, სადაც წელს თითქმის ყოველ დღე იმართებოდა წარმოდგენები ქ ნ მდივანის და ურუშაძის ხელმძღვანელობით. ორჯერ გაიმართა კონცერტი, წაიკითხა რამდენიმე ლექციაც ქართულ ენაზე.

ჯერ-ჯერობით ბახმარო მოუწყობელია, მაგრამ, როგორც ზევით ვთქვი, მას დიდი მომავალი მოელის. გაიყვანენ თუ არა კარგ გზას, დარწმუნებული ვარ, ბახმარო პირველ და საყვარელ საგარაკო ადგილად გადაიქცევა მთელ დასავლეთ საქართველოსთვის. ბახმაროს წარმატებას დღეს მხოლოდ უგზოობა უშლის ხელს. ამას ჰგრძნობენ ახლო-მახლო სოფლელნიც და მოწადინებულნიც არიან, გააკეთონ გზა.

ი. ხ.

# თეატრი და ხელოვნება

**თელავი.** გავიდა ზაფხული. გაიფანტა ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა, გამოყრუვდა თელავი. გაგვითავდა თეატრ-კონცერტები, რაიც წელს ყველა ზაფხულზე მეტი იყო. წელს ჩვენც გვეღირსა, ცოტად თუ ბევრად, რიგიან წარმოდგენების ნახვა, რადგან წელს მომეტებულ ნაწილად არტისტები თამაშობდნენ. მადლობის ღირსია არტისტი იმედაშვილი, რომელმაც თავის თამაშით მაყურებელნი ასიამოვნა, თორემ ჩვენ საცოდავები ხომ მთელი დრო სცენის მოყვარეთა ანაბარას ვართ მიტოვებულნი. არა, სცენის მოყვარეც სცენის მოყვარესა ჰქვიან! ნიჭიერ სცენის მოყვარის ყურებაც სასიამოვნოა, მაგრამ აქ ყველანი თამაშობენ, ვისაც კი სცენაზე ლაზღანდარაობა მოსდომებია. ეს არამკითხე სცენის მოყვარენი ძალიან უკარგავენ თეატრს მნიშვნელობას და ხალხსაც ხალისს წარმოდგენებში სიარულისას, რაც დიდ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს ყველა იმას, ვისაც არავითარი სასცენო ნიჭი არა აქვს და მარტო სალაზღანდაროდ გამოდის სცენაზე.

ერთს უმთავრეს უბედურებას თელავის წარმოდგენებისას, თუნდა იგი არტისტების მიერ იყოს გამართული, შეადგენს ის, რომ არა გვყავს ქალის როლის რიგიანი ალმასრულებელი. მაგალითად, ამ ზაფხულს რამდენადაც სასიამოვნო იყო არტისტების ყურება, იმდენად უსიამოვნო ქალების თამაში, უადგილო-ალაგას სიცილი და უცნაური ენის სლოკუნი. რა თქმა უნდა, სცენის მოყვარეთ უეჭველად არ მოეთხოვებათ როლის შესაფერი თამაში მაგრამ სასცენო ხმა, ქართული ენის კილო და მკაფიო ლაპარაკი აუცილებლად საჭიროა ყველა სცენის მოყვარისთვის. ვინც ამ ღირსებას მოკლებულია, იმან არც უნდა გაჰ ედოს სცენაზე გამოსვლა და თეატრის და მაყურებლების სასაცილოდ აგდება. სცენიდან სიტყვები მარგალიტებივით უნდა ცვიოდეს, სასიამოვნოთ ეწვეთებოდეს მსმენელს ყურში. ყველა სიტყვა მკაფიოდ და კილოიანად უნდა იყოს წარმოთქმული, რაც აუცილებლად საჭიროა, რომ მსმენელმა შეიგნოს აზრი პიესისა და იგემოს ქართული ენის სიტკბო. ამ ზაფხულს ორი სამი ისტორიული პიესა დაიდგა, რომელშიც არტისტების მოხდენილმა თამაშმა დაგვატკბო, მაგრამ ქალების უგემურმა თამაშმა საერთო შთაბეჭდილებას ბევრი დააკლო. ვერ გაიგებდით, რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ —ქართულზე თუ უცხო ენაზე. ზოგს ენა არ უვარგოდა და თითო სიტყვას რამდენჯერმე იმეორებდა, ზოგი სცდილობდა რუსულ კილოზე ელაპარაკნა, ვითომ ქართული არ ეხერხებოდა, რითაც დიდად თავი მოსწონდა; ზოგი კი დარწმუნებული, რომ სამაგალითოდ თამაშობს, წრეს-გადასულ პრანჭვა-გრეხით თავს გვაბეზრებდა, და აი ესენი ისტორიულ პიესებში და სხვა ამ დროს საუკეთესო პიესებში თამაშობდნენ. ყველაზე სამწუხაროა ის მოვლენა, რომ დღემდის ვერ შეგვიგნია ან არ გვინდა შევიგნოთ ის, რომ თუ ვისმე რამ ძალი შესწევს და ღმერთს რაიმე ნიჭი მიუცია, მოვალეა თავის ძალის შესაფერად რაიმე სარგებლობა მოუტანოს საზოგადო საქმეს. იმ ქალებს, რომელთაც შესწევთ ნიჭი სამსახური გაუწიონ ჩვენს წარმოდგენებს, თვით პიესის ავტორებს და საზოგადოებას, ძალიან თავს იზვიადებენ და არა ნებულობენ სცენაზე თამაშს, რაც საპატიებელი არ არის. იყო შემთხვევა, ამ ზაფხულს ორჯერ-სამჯერ სთხოვეს თამაშობა, მაგრამ არ ინებეს. თუ დიდი პირი ვინმე მართავს საქველ-მოქმედო მიზნით, მაშინ თუ ინებებენ სცენაზე გამოსვლას, თორემ ყველას თხოვნას-კი ყურადღებას არ მიაქცევენ.

ამ საქველმოქმედო წარმოდგენებმა სწორე უნდა მოგახსენოთ, ძალიან საქმე გაგვიჭირა: მართავს ის, ვისაც მართლა უჭირს და ისიც, ვისაც არ უჭირს; ის, ვინც ღირსია მართლა დახმარებისა საზოგადოების მხრივ და ისიც, ვინც ამისი ღირსი არ არის. აი ეს არის მიზეზი, რომ წარმოდგენები ბევრი იყო, ხალხიც ბლომად ესწრებოდა, მაგრამ არტისტები ჯიბე ცარიელები დარჩნენ. ამ ბოლო დროს ხომ თეატრმა ჩვენთვის ხელოვნების მხრივ, სრულებით დაჰკარგა მნიშვნელობა და ფულის მოსაკრეფ დაწესებულებად გადაიქცა. წარმოდგენას მართვენ მარტო იმ აზრით, რომ ამა თუ იმ გაჭირვებულს კერძო პირს ანუ საზოგადო დაწესებულებას ფული შეუგროვონ და არა იმ აზრით, რომ ხალხს მოაგონონ თავიანთი წარსული, დაანახვონ აწმყო და შეაყვარონ სამშობლო და მისი ტკბილი ენა. ფრიად სასურველია, რომ თელავში ვინმემ თავს იდვას დრამატიულ საზოგადოების შედგენა, რომელსაც აზრად ექნება სათეატრო საქმის უკეთ მოწყობა და ერთი-ორის არტისტის შენახვა, რასაც მე მგონი წარმოდგენების შემოსავალი გაუძლევება, თუ ჩაქმე რიგიასად იქნება დაყენებული.

რომ ხალხი აფასებს რიგიან წარმოდგენებს და რიგიან მოთამაშეებს, ამას აშკარად მოწმობს წლევანდელი სიარული ხალხისა კონცერტებსა და წარმოდგენებზე. და როდესაც ჩვენი არტისტები გვეყოლება, მათ მიემატებიან მარტო ნიჭიერი სცენის მოყვარენი, რომელნიც არტისტების ყურებით უფრო დახელოვნდებიან. მაშინ შეგვეძლება წარმოდგენები ხშირადაც ვმართოთ და რიგიანი პიესებიც დავდგათ. ხალხიც, რა თქმა უნდა, ხალისით ივლის, როდესაც ეცოდინება, რომ რიგიან წარმოდგენას ნახავს და არა ლაზღანდარობას. დიდი და დიდი მადლობის ღირსი იქნება ის, ვინც ამ სასარგებლო საქმეს დაიწყებს და ის არტისტიც ტფ. დრამატიულ დასისა, რომელიც თუნდ მცირე სასყიდლით ჩვენკენ გამოსწევს. **ფუტკარი.**

# რუსეთი

**საიდან იღებს ვოსტორგოვი ფულებს?** როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ მოკლე ხანში ჩვენში კარგად „ცნობილი" დეკანოზი ვოსტორგოვი ციმბირში წავიდა იქაურ ეკლესიების და სასწავლებლების სარევიზიოდ „რეჩი"-ს სიტყვით ვოსტორგოვი სულ სხვა მიზნით წასულა ციმბრში. ვოსტორგოვის მიზანი ყოფილა ციმბირში დაეარსებინა „მთავარანგელოზ მიხეილის კავშირის" (პურიშკევიჩის დაარსებულია) განყოფილებები. სინოდს ვითომდა რევიზიისთვის გაუღია 60,000 მანეთი, მოსკოვის მიტროპოლიტ ვლადიმერს მოსკოვის ერთ მდიდარ ეკლესიისთვის უბრძანებია, ვოსტორგოვს 40,000 მანეთი მიეცითო, ამრიგად ვოსტორგოვის ერთი თვით ციმბირში მოგზაურობა 100,000 მანეთი დაჯდა და ისიც პურიშკევიჩის „კავშირის" განყოფილებების დასაარსებლად. რა დამოკიდებულება აქვს საეკლესიო-სახელმწიფო ფულებს „მთავარანგელოზ მიხეილის კავშირთან" ეს ალაჰმა უწყის!

**სინოდის განკარგულება.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით სინოდს სასულიერო აკადემიების პროფესორთა საბჭოებისთვის მოწერილობა დაუგზავნია. სინოდი საბჭოებს ატყობინებს, საჭიროა, რომ პროფესორებმა შეადგინონ წიგნები, რომლებშიაც უმთავრესი ყურადღება სოციალიზმს და მის სიყალბეს უნდა მიაქციონო. ამასთან სინოდს აკადემიებისთვის დაუგზავნია ვოლინის მთავარ-ეპისკოპოსის ანტონისა და „ცნობილი" მისიონერ აივაზოვის მიერ შედგენილი გეგმა, თუ როგორ უნდა შეადგინონ ეს წიგნები.


# განცხადებანი

## მუქთად საკოსტიუმო

საქონლისთვის ვგზავნი საქონლის ნიმუშების კოლექციას და პრეის-კურანტს. შეიცავს 60 გვ. დასურათებულია უკანასკნელ მოდებზე შეკერილ ტანისამ., კაცისა, ქალისა და ბავშვისა, ს მხედრო და სალდათებისა, საცვალი ფეხსაცმელი, შინაური საქონელი, გაგზავნის შეღავათიან პირობით, **უფასოდ.** ამ ადრესით: М. А. Бабушкинъ, Лодзь. N 52. წერილები რუსულად ან გერმანულად უნდა მოიწეროს. (Мотцль и Ко. N 48329) (3—6.—2)

**დაიბეჭდა** ქართული პიესები: **„უშნო არშიყი"**, კომ. 3 მოქმ., **„სოფიო"**, ვოდევ. 1 მოქმ., **„დუქნის ოთახში"**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის" წიგნის მაღაზიაში. ქ. გორში—არსენ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტორთან საკ. სახ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%. (25—393—19)

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ :**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1/2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1/4}$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1/2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—171)

## იყიდება

**ორი ნაჭერი** მიწისა თ. ვად აზნაურთა გიმნაზიასთან, ვერაზე, ვაკეში: 1 ზომით 360 ოთხ-კუთხი საჟ. 2. 436 ოთხ-კუთხი საჟ. ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ ყიფშიძესთან იქვე, საკუთ., სახ., დილით, 10 ს.-დე და საღამოთი 4—7 საათამდე. (2—450—2)

**ფეოდოსიევსკის ქუჩაზე**
(ყოფილი „კალიუჩი ბალკა"), ფოსტის პირდაპირ, შეკეთების შემდეგ კვლავ
**გ ა ი ხ ს ნ ა**
## რუსული აბანო.
ა ბ ა ნ ო ს თ ა ნ
**შარკოს „დუშები".**
არიან მექისეები.
**ნომრები ყოველ-გვარ მოწყობილებით.**
ო რ თ ქ ლ ი თ.
ორშ., სამშ. და პარასკ. ქალებისათვის ხოლო დანარჩენ დღეებში კაცებისათვის.,
**აბანო ღიაა ყოველ დღე.**
დილის 5-დან ღამის 11 ს.-დე. ყურადღება მიაქციეთ სახლის თავზე დროშას—აპით გაიგებთ აბანოს გახსნას. 1017 3—2)

**14 სექტემბ., ნაშუადღევის $12^{1/2}$ საათ.**
კ უ რ თ ხ ე ვ ა
## საკულინარო სკოლისა
**და სასადილოსი.**
15 სექტემბერს 3 საათზე სწავლის დაწყება. იწვევენ კურსებზე ჩაწერილებს. ოლგას ქუჩა, № 6. (1—1018—1)

## დროებით იაფობა

ახლად მიღებულ საქონლისა. საცვალი ქალისა და კაცისა, წინდები, ფუფაიკები, იუბკები მერინოსისა, ალპაკისა, ბატისტისა, ტისტისა, თბილი ბამბაზიისა და მატყლისა. შალები, წასამოსასხამები ბატისტისა, საყელოები, მანჟეტები და გალსტუხები აუარებელი.

სასახლის ქ., საცვლის მაღაზია **ნ. ი. კუნდურისისა.** (1—ხაღ.—2)

## გაფრთხილება
საკალბასო მაღაზია
## კ ო რ ბ ო ზ ი,

პუშკინის ქ., ამით აფრთხილებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ მაღაზიას ქალაქში განყოფილება არა აქვს და იმას, რომელიც მიხეილის პრ., მამიკონოვის სახლში, გახსნა ჩვენმა ყოფილმა მუშამ, არაფერი საერთო ჩვენ ფირმასთან არა აქვს. (1—451—1)

**ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი**
## საბუხჰალტრო კურსები
## ნ. ვ. აბრაამიანისა.
ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.

კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს" ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. სკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.

კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.

კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხაღ—15)

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი**
## საკომერციო ცოდნათა კურსები
**ტ. მ. ფ ი ლ ო ი ა ნ ი ს ა.**
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 24/4.

ასწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუჰჰალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს. ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ანგარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას; 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.

**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**

**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის. პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ხაღ.—12)

## პროვოდნიკის

1897 წ. 1888 1908 წ.

## ამხანაგობა
**რ ი გ ა შ ი**
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
**იყიდება ნაღდად და ცალობით:**

**რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,**
**რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,**
**რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,**
**იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,**
**რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,**
**რეზინის სათამაშოები და ბურთები,**
**რეზინის საგალანტერეინო საქონელი,**
**საშლელი რეზინი „სპილოს" მარკისას**

## ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი"-სა


სტამბა „ხინათლი" რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.